ფრე “არარატთან”

ერევანი. “რაზდანის” სტადიონი. 8 ივლისი.

“არარატი” (ერევანი) – “დინამო” (თბილისი) 0:0.

“არარატი”: ვასილიევი, პეტროსიანი, ბონდარენკო, აშ. ხაჩატრიანი, მოვსესიანი, ქეროფიანი, პოღოსიანი (ზახარიანი), ოგანესიანი, ან. ხაჩატრიანი, მელიქიანი, სააკიანი.

“დინამო”: გოგია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, მინაშვილი, ყიფიანი (ქორიძე), შენგელია.

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 3:1.

ერევნის “არარატისა” და თბილისის “დინამოს” ტრადიციულად პრინციპულ, საპასუხისმგებლო შეხვედრას არსებითად განსაზღვრავდა საკავშირო ჩემპიონატის დებულების ის პუნქტი, რომელიც 8 ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ, ყოველ გუნდს უკრძალავს “მშვიდობიანი განწყობილების” ყოველგვარ შესაძლებლობას. ამ პუნქტის ძალით “არარატმა” გათამაშების დამთავრებამდე მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა იფიქროს, ვინაიდან ყველა სხვა შედეგი მისთვის წაგებას ნიშნავს და სრულიად არაფერს სძენს მის ქულათა მარაგს. ასეთი ალტერნატივის წინაშე მყოფი გუნდი იძულებულია თავისი ტაქტიკური არსენალიდან ამოიღოს (სეზონის ბოლომდე მაინც) ყოველგვარი ტაქტიკური ვარიანტი, თუ კი იგი არ ემსახურება გამარჯვებას და მხოლოდ გამარჯვებას. შეტევა, მარტოდმარტო შეტევა.

ამიტომ იყო, რომ მასპინძლებმა ასეთი თავგამოდებით და მონდომებით შეუტიეს მეტოქეს პირველივე წუთებიდან. გუნდის თითოეული მოთამაშე განუწყვეტლივ მოძრაობდა, იბრძოდა, ყველაფერს აკეთებდა იერიშის წარმატებით განხორციელებისთვის. მაგრამ მარტო იერიშის სურვილი საკმარისი არაა მიზნის მისაღწევად. საჭიროა შესაბამისი ოსტატობაც. ამ მხრივ კი დინამოელთა მცველები მეტოქეზე გაცილებით უფრო მაღლა იდგნენ. ისინი მეკარე გოგიასი და ნახევარმცველთა აქტიური ხელშეწყობით მოფიქრებულად და ორგანიზებულად იგერიებდნენ ერევნელთა შეტევებს.

დაახლოებით 15 წუთი იცავდნენ თავს დინამოელები, მერე კი თავდამსხმელებმაც “გამოიღეს ხელი” და თამაშმა ჯერ შუა მინდორზე, მერე კი ერევნელთა ნახევარზე გადაინაცვლა. ძელს მოახვედრა ბურთი კოპალეიშვილმა, ახლო მანძილიდან ააცილა კარს შენგელიამ, თავიანთ მხრივ მასპინძლებმაც ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტები. განსაკუთრებით გაძნელდა თბილისელთა ბრძოლა მეორე ტაიმში “არარატმა” კიდევ უფრო მოუმატა ტემპს. თითქმის მთელი შემადგენლობით გადავიდა მოპირდაპირე ნახევარზე და იმ დროს, როცა დაცვითს ხაზებს და მეკარეს უმძიმესი დატვირთვა დააწვათ, თბილისელთა თავდამსხმელებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, რათა მდგომარეობა შეემსუბუქებინათ თანაგუნდელებისთვის, იძულებული გაეხადათ ერევნელთა მცველები შემოფარგლულიყვნენ თავიანთი ძირითადი ფუნქციებით და ხელი აეღოთ საიერიშო მოქმედებაზე. მხოლოდ ბოლოს, მატჩის დასასრულს გამოჩნდნენ “დინამოს” თავდამსხმელები არარატელთა საჯარიმო მოედანზე, სხვა დროს კი ისინი თითქმის უბრძოლველად აგებდნენ ბურთს.

ასეა თუ ისე, თბილისელებმა შეძლეს საკუთარი კარის უხიფათობის დაცვა, აიღეს ქულა, რომელმაც მათ შეუნარჩუნა ლიდერობა საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში.

“ლელო”, 10 ივლისი, 1979 წ.